 სილქნეტი
SILKNET

№ 1436/24-8                                                   12 . 03 2020

შპს „მუნიციპალპროექტი"-ს დირექტორს
ბატონ ნუგზარ არდაზიშვილს
ქ. თბილისი, ფანასკერტელის ქ. #1, სად. 2, ბ-21
ტელ: 599505082

ბატონო ნუგზარ,

თქვენგან შემოსული წერილი (08 – 5/03/2020)-ს პასუხად, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამუშავებთ ქ. მარტვილის წყალმომარაგებისა და წყალარინების მუშა პროექტს. პროექტი ითვალისწინებს ქ. მარტვილისა და მიმდებარე სოფლების(ნალეპსაო, ბობოთი, სერგიეთი, ინჩხური, ნაგვაზაო) წყალსადენისა და წყალარინების ქსელების გაყვანას. გვთხოვთ მოგაწოდოთ ინფორმაცია გადის თუ არა სს „სილქნეტი"-ს მიწისქვეშა კომუნიკაციები.

გაცნობებთ, რომ ქ. მარტვილში გადის სს „სილქნეტი"-ს მიწისქვეშა კომუნიკაციები, რომელიც ჩაწერილია თანდართულ CD დისკზე შეიპ ფაილის ფორმატში. ჩამოთვლილ სოფლებში არ გადის სს „სილქნეტი"-ს კომუნიკაციები.

გთხოვთ პროექტი დამუშავდეს სს „სილქნეტი"-ს კომუნიკაციების გათვალისწინებით და წარმოდგენილ იქნას სს „სილქნეტში" შესათანხმებლად.

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი
ასტამურ აჩბა

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი"
"Fiber-optic telecommunication network-FOPTNET" Ltd

ქ. თბილისი

ED-20/ 79

ევზ. № 1

"09" მარტი 2020 წ

შპს "მუნიციპალპროექტი"-ს
დირექტორს ბ-ნ ნუგზარ არდაზიშვილს

ბატონო ნუგზარ,

<u>თქვენი მ.წ. 04 მარტის № 09 მომართვის პასუხად,</u>

გიდასტურებთ, რომ ქ. მარტვილში და მიმდებარე სოფლების ნაწილში სადაც იგეგმება წყალსადენისა და წყალარინების ქსელის გაყვანა გადის შპს "ფოპტნეტის" ტრანს აზია–ევროპის სახელმწიფოთაშორისო მნიშვნელობის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი.

გიგზავნით მარტვილის მუნიციპალიტეტში გამავალი ოპტიკური კაბელის ელ. ვერსიას, მაგრამ იმისათვის, რომ დაცული იყოს ხსენებული კაბელის უსაფრთხო ფუნქციონირება, აუცილებლად ვთვლით პროექტირების პროცესში, ჩვენმა და თქვენი წარმომადგენლებმა ადგილზე შურფირების მეთოდით დააზუსტონ კაბელის ფაქტიური მდებარეობა, განსაზღვრონ კაბელის დაცვის ზონა(2-2 მეტრი კაბელის გასწვრივ, მისი ღერძიდან ორივე მხარეს), კაბელის სიღრმე, ურთიერთშეთანხმებით დაადგინონ ურთიერთშეხებისა და გადაკვეთის ადგილები, რომლებიც დატანილი უნდა იქნეს მუშა პროექტზე. მუშა პროექტში ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს კაბელის გადაკვეთის განხორციელება ჩვენი კაბელის სიღრმიდან 40 სმ-ის დაშორებით ზემოთ ან ქვემოთ.

მას შემდეგ, რაც გამოვლინდება მშენებელი ორგანიზაცია, მოთხოვნისთანავე დადგენილი წესით გადავცემთ ტექნიკურ პირობებს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მთავრობის2007 წლის № 134 დადგენილებით განსაზღვრული "ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების დაცის წესი და მათი დაცვის ზონები".

**საქონტაქტო ტელეფონებია:** 232 32 34 – თბილისის ცენტრალური ოფისი

577-09-92-96 უბნის უფროსი არმაზ ხაჯომია

**დანართი:** მარტვილის მუნიციპალიტეტში გამავალი კაბელის ელ. ვერსია – 1 CD დისკი.

პატივისცემით,

უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ლევან კიკნაძე

ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
19 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.19
0186 თბილისი, საქართველო

სს ენერგო-პრო ჯორჯია
О.№ 5113232
18 - 03 2020
JSC ENERGO-PRO GEORGIA

შპს „მუნიციპალპროექტი"-ს დირექტორს
ბატონ ნუგზარ არდაზიშვილს
მის: ქ. თბილისი, ფანასკერტელის ქ. 1, სად. 2, ბ. 21
ტელ: 599 50 50 82

ასლი: სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" აღმოსავლეთ
საქართველოს ცენტრალური ფილიალის
დირექტორს ბატონ დავით ჟღენტს.

თქვენი 2020 წლის 10 მარტის №11 წერილის პასუხად, რომელიც ეხება მცხეთის რაიონის, სოფელ მუხრანის ტერიტორიაზე კომპანიის კუთვნილი კომუნიკაციების შესახებ ინფორმაციის გადმოცემას, გაცნობებთ, რომ სს „ენერგო-პრო ჯორჯია" მოცემულ არეალში არ ფლობს არსებული ელ. ქსელის სრულ ციფრულ ბაზას. აქედან გამომდინარე გამოვთქვამთ მზადყოფნას თქვენს მიერ მითითებული ტერიტორიის ადგილზე გავლა განხორციელდეს ერთობლივად, რა დროსაც ჩვენი თანამშრომლები მიუთითებენ კომპანიის საკუთრებაში არსებული ელექტროგადამცემი ხაზების ადგილმდებარეობას. ამ მიზნით, გთხოვთ, დაუკავშირდეთ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის მთავარ ინჟინერს ბ-ნ იოსებ ხმიადაშვილს (ტელ.: 577 35 19 99).

აგრეთვე გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოები უნდა განხორციელდეს „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366-ე დადგენილების, საქართველოში მოქმედი „ელექტროდანადგარების მოწყობის წესებისა" და „უსაფრთხოების ტექნიკის წესების" მოთხოვნების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

მიხეილ ბოცვაძე
გენერალური დირექტორი

O-SOR-SCS-LT-2020-3-10/044314272

SOCAR
SAKORGGAZI

SAKORGGAZI JSC
13, Kicki str. Tbilisi, Georgia, 0182
Tel: (+995 32) 254 04 30
E-mail: sakorggazi@socar.ge
www.socar.ge

№ O-SOR-SCS-LT-2020-3-10/04 10.03.2020

შპს „მუნიციპალპროექტი"-ს

დირექტორს ბატონ ნუგზარ არდაზიშვილს

ბატონო ნუგზარ,

თქვენი 2020 წლის 4 მარტის N 05 წერილის შესაბამისად გაწვდით ქ.მარტვილისა და მისი მიმდებარე სოფლების გაზსადენების მდებარეობის შესახებ ნახაზებს ელექტრონული ფორმით. გთხოვთ წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელების პროექტირების დროს გაითვალისწინოთ გაზის მეურნეობაში არსებული მოქმედი მშენებლობის წესები და ტექნიკური ნორმები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ჩვენი კომპანიის საკუთრებაში არსებული გაზსადენების დაზიანება და უზრუნველყოფილი იქნას მოსახლეობის უწყვეტი და უსაფრთხო გაზმომარაგება.

პატივისცემით

იმერეთის რეგიონალური ოფისის წარმომადგენელი
ბერდია კანკაძე